

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს შეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი და

ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები

რეზიუმე

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობის - სგმ და გზმ დირექტივების, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის, ასევე, ბუნების დაცვის დირექტივებისა და წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს. „ნამახვანი ჰესის“ პროექტი არღვევს ბერნის კონვენციის (შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებს) და ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს; ასევე, ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების პირობებს. „ნამახვანი ჰესის“ პროექტის მსგავსი დარღვევებით მიმდინარეობს ბოლო ათწლეულებში ყველა მცირე, საშუალო თუ დიდი ჰესის პროექტი საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ევროპარლამენტი, ასოცირების ხელშეკრულება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ბერნის კონვენცია, „ნამახვანი ჰესი“.

შესავალი

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ და ოპერირებამ მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში, შეუქცევადი ზიანი მიაყენა ევროპაში ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. დღეისათვის მდინარეები ყველაზე მეტად ევროპაშია დანაწევრებული ჰესებითა და კაშხლებით, რაც კრიტიკულად აზიანებს ევროპის ბიომრავალფეროვნებას და გადაშენების საფრთხეს უქმნის არაერთ სახეობას. მდინარეების ეკოსისტემების დასაცავად, და მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, ჰესების მშენებლობისა და ოპერირების უზრუნველსაყოფად, ევროპის ქვეყნები იყენებენ რამდენიმე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს - დირექტივებს, გასაჩივრების მექანიზმებსა და კონვენციებს, რომელთა მოქმედების არეალი ევროპას სცილდება¹:

- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) დირექტივა²;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშშ) შესახებ დირექტივა³;
- ჰაბიტატების დირექტივა⁴;
- ფრინველების დირექტივა⁵;
- წყლის ჩარჩო დირექტივა⁶;
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა⁷;
- ევროპის კომისიის დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი;
- ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება⁸;
- ორჰუსის კონვენცია⁹;
- ესპოს (EIA) კონვენცია¹⁰ და კიევის (სგშ) ოქმი¹¹;
- ბერნის კონვენცია¹².

საქართველოს ევროკავშირის სტრუქტურებთან ინტეგრაციასა და ევროკავშირში გაწევრიანებას აპირებს. ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება, ეროვნული კანონმდებლობის ზემოთ ჩამოთვლილ ევრო დირექტივებთან ჰარმონიზების ვალდებულებასაც მოიცავს.

¹ გამოყენებულია: M.Smolak, Toolkit how to the use of EU and international environmental law to protect rivers from hydropower development, April, 2021

² ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2001/42/EC დირექტივა „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (2001)

³ ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2011/92/EU დირექტივა „გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (2011).

⁴ 1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC)N1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად“ (კონსოლიდირებული ვერსია)

⁵ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009/147/EC დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ (2009).

⁶ ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2000/60/EC „ევროპის თანამეგობრობის ქმედების ჩარჩო დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში“ (2000).

⁷ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2004/35/EC დირექტივა „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

⁸ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება

⁹ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია“

¹⁰ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია“

¹¹ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესახებ ოქმი

¹² ევროპის საბჭოს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია“

საქართველოს პარლამენტმა სგმ დირექტივასთან, გზმ დირექტივასთან, ესპოს კონვენციასთან პარმონიზებისათვის დაამტკიცა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (2017 წ.), ხოლო გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივასთან დაახლოებისათვის - „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (2021 წ.). საქართველო არის ორჰუსის კონვენციის, ბერნის კონვენციისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების წევრი და კიევის (სგმ) ოქმის ხელმომწერი ქვეყანა.

ევროპელ პარტნიორებს აქვთ მოლოდინი, რომ საქართველო ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად განავითარებს ენერგეტიკის სექტორს. 2014 წლის 18 დეკემბერის რეზოლუციაში ევროპარლამენტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლების ორგანოს, „სრულად შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას“ (რეზოლუციის 46-ე პუნქტი). 2018 წლის 14 ნოემბერის რეზოლუციაში ევროპარლამენტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას შეიმუშაოს ქმედითი ენერგეტიკული სტრატეგია, ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის ათვისებასა და ენერგოეფექტურობას; გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობა/ხარისხი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას; გაახსენა საქართველოს მისი ვალდებულება მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ამ ვალდებულებების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. ევროპარლამენტი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს ჰიდროენერჯის შემდგომი განვითარება და მოუწოდებს უზრუნველყოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილების მიღებისას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას უზრუნველყოფს. ამ ყველაფრის ფონზე/გამო, საინტერესოა „ნამახვანი ჰესის“ პროექტის შეფასება ევროკავშირის სამართლებრივი ინსტრუმენტების მიხედვით.

„ნამახვანი ჰესების კასკადის“ მშენებლობა დაგეგმილია დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონზე, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. 2015 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის მიხედვით, კასკადი ორი - 100 მეგავატიანი და 333 მეგავატიანი ჰესისგან შედგებოდა. 2017 წელს მშენებლობის უფლება აუქციონის შედეგად გადაეცა შპს „Clean Energy Group Georgia“-ს, რომლის 100%-იან წილს ნორვეგიული „Clean Energy Group“ ფლობდა. მოგვიანებით კომპანიის წილი (90%) თურქულმა კომპანია „ენკა“-მ იყიდა. 2019 წლის გაზაფხულზე შპს „Clean Energy Group Georgia“-მ შეიცალა სახელი და ეწოდა შპს „Enka Renewables.“ საქმიანობის დაწყების შემდეგ კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2015 წელს გაცემული სანებართვო დოკუმენტების საფუძველზე კასკადის მშენებლობა შეუძლებელი იყო, ამიტომ საჭირო გახდა პროექტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და მშენებლობის ნებართვის ხელახლა აღება. კასკადის პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, დღეის მდგომარეობით კასკადი შედგება ორი ჰესისგან. ესენია: 1) ზემო ნამახვანი ჰესი - 86.8 მგვტ დადგმული სიმძლავრით და 360 გვტ სთ/წ, საპროექტო გამომუშავებით, რომელსაც ექნება 57.5 მ. სიმაღლის გრავიტაციული, ჰესის შენობასთან გაერთიანებული კაშხალი¹³. 2) ქვემო ნამახვანი ჰესი - 324 მგვტ. დადგმული სიმძლავრით, 1135.7 გვტ სთ/წ. საპროექტო გამომუშავებით 105 მ. სიმაღლის ბეტონის გრავიტაციული კაშხლით¹⁴. იმდენად რამდენადაც, კომპანიას არ მოუზადებია ზემო ნამახვანის ჰესის განახლებული პროექტი, ასევე არ აქვს მოზადებული ქვემო ნამახვანის ჰესის კაშხლის პროექტი, შესაძლებელია კასკადის პარამეტრები კიდევ შეიცვალოს.

¹³ სკრინინგის გადაწყვეტილება, დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვალის N 2-143 ბრძანებით.

¹⁴ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N 2-191 ბრძანებით; მშენებლობის ნებართვა, დამტკიცებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის N 60-04 ბრძანებით.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტის შეფასება ევროკავშირის სამართლებრივი ინსტრუმენტების მიხედვით

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა

ენერგეტიკის სექტორის განვითარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, საერთოდ არ არსებობს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების გეგმა, რომელსაც უნდა ჩატარებოდა სგშ. ამრიგად, „ნამახვანი ჰესის“ პროექტის საჭიროება არ არის დადასტურებული.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივა

„ნამახვანი ჰესის“ პროექტზე სანებართვო დოკუმენტები გაიცა 2015 წელს. ამ პერიოდში არსებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშშ) კანონმდებლობა და პროცედურები არ შეესაბამებოდა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივას“. ამასთანავე, პროექტის საჯარო განხილვები, საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ კანონმდებლობასაც კი.

გშშ ანგარიში, რომელზეც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა, დაბალი ხარისხის იყო, არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის გეოლოგიური და გეოდინამიკური რისკები, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. ჰესის მშენებელმა კომპანიამ საქმიანობის დაწყების შემდეგ აღმოაჩინა, რომ 2015 წელს გაცემული ნებართვების საფუძველზე კასკადის მშენებლობა შეუძლებელი იყო, ამიტომ ის იძულებული გახდა, გადაემუშავებინა პროექტი.

2019 წლის თებერვალში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება (ე.წ. „სკრინინგის გადაწყვეტილება“), რომლითაც კომპანიას დაევალა ახალი გშშ-ს მომზადება და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და მშენებლობის ნებართვის თავიდან აღება, პროექტზე, რომელიც მოიცავდა ორ ჰესს: „ზემო ნამახვანის“ (ყოფილი „ტივიში ჰესი“) და „ქვემო ნამახვანის“ (ყოფილი „ნამახვანი-ჟონეთის ჰესი“) ჰესებს. კომპანიამ არ შეასრულა სამინისტროს გადაწყვეტილების პირობები - სკოპინგის ანგარიში და გშშ ანგარიში მხოლოდ „ქვემო ნამახვანის ჰესის“ პროექტზე მოამზადა. შესაბამისად, მხოლოდ „ქვემო ნამახვანის ჰესის“ პროექტს ეხება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის 28 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ 2020 წლის 22 აპრილს გაცემული მშენებლობის ნებართვა. ამასთანავე, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ისე მშენებლობის ნებართვა, გაცემულია გარკვეული პირობებით, რომლებიც ჯერჯერობით სრულად არ შესრულებულა.

როგორც სკოპინგის, ისე გშშ ანგარიშის განხილვის ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვები არ შეესაბამებოდა არათუ ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს, არამედ ეროვნულ კანონმდებლობასაც კი. დაინტერესებულ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა კი ადგილობრივ მოსახლეობას, არ მიეცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ ჩართვის შესაძლებლობა. როგორც სკოპინგის, ისე გშშ ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა არა უშუალოდ პროექტის განხორციელების ადგილზე, როგორც ამას ითხოვს საქართველოს კანონმდებლობა, არამედ წყალტუბოს მერიის შენობაში, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სოფლებიდან დაახლოებით 50 კმ-ის დაშორებით. დაინტერესებულ საზოგადოებას მაქსიმალურად შეუზღუდავად შესვლისა და კრიტიკული კითხვების დასმის შესაძლებლობა.

გშშ ანგარიში არ მოიცავდა შინაარსობრივად საჭირო და საქართველოს კანონმდებლობით აუცილებელ არაერთ საკითხს: არ იყო ჩატარებული დანახარჯისა (ბუნებრივ, კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე მიყენებული ზიანი გამოწვეული) და სარგებლის შედარებითი ანალიზი; არ იყო სათანადოდ გამოკვლეული ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემა - ჰესის ფუნქციონირების შედეგად ზუთხის

სახეობებზე და მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანი; პროექტის ზეგავლენა შავი ზღვის სანაპიროზე, ასევე, რიონის ქვედა დინებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე; გვირაბების მარშრუტის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები; პროექტის ზეგავლენა მდინარე რიონზე არსებულ სხვა ჰესებზე (მათი უსაფრთხოების და ეფექტიანობის შემცირების თვალსაზრისით); ზეგავლენა ტვიმის ზონაში წარმოებული ყურძნის და ღვინის ხარისხობრივ მახასიათებლებზე. სეისმოლოგიური კვლევები მოძველებულ მონაცემებს და შეფასების მეთოდებს ეყრდნობოდა, რაც სათუთს ხდის პროექტის უსაფრთხოებას; წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლისთვის გამოყენებული იყო მოძველებული, საბჭოთა პერიოდის მეთოდოლოგია და ა.შ. ნაცვლად უარის თქმისა, სამინისტრომ კომპანიას დაავალა ნებართვის მიღების შემდეგ, „პოსტ ფაქტუმ“, გამოეკვლია ეს მნიშვნელოვანი საკითხები.

ევროკომისიის ეგიდით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით¹⁵, პროექტის განმახორციელებელი კომპანია „ენკას“ მიერ წარმოდგენილი გზმ ანგარიშის შეფასება სრულიად ნათელს გახდის, რომ ის უხარისხოა და შესაბამისად, მის საფუძველზე არ შეიძლება დადებითი დასკვნის გაცემა.

საზგასმელია, რომ საქართველოს მთავრობამ კომპანიას დაუდო ხელშეკრულება და გადასცა ტერიტორია ჰესების მშენებლობისათვის, იქამდე, სანამ კომპანია ჩაატარებდა გზმ-ს და მოამზადებდა ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციას და გაიცემოდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და მშენებლობის ნებართვა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ნამახვანი ჰესის“ პროექტი გამონაკლისი არ არის და ყველა ჰესზე ამ თანამიმდევრობით მიიღება გადაწყვეტილება.

ბუნებისდაცვითი ღირეტივები - „ჰაბიტატების ღირეტივა“ და „ფრინველების ღირეტივა“

„ჰაბიტატების ღირეტივა“ და „ფრინველების ღირეტივა“ შექმნილია სპეციფიურად ბუნების, ანუ ბიომრავალფეროვნების დასაცავად. ამ ღირეტივების მიზნებისათვის ევროკავშირის ქვეყნები ვალდებული არიან შეასრულონ ორი ტიპის ღონისძიებები:

1. განსაზღვრონ/დააარსონ და დაიცვან სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის მნიშვნელოვანი ადგილები - „ნატურა 2000“ საიტები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან „ნატურა 2000“ ქსელს.
2. დააწესონ სახეობების დაცვის რეჟიმი ევროპაში მობინადრე ყველა ფრინველის სახეობისათვის და სხვა სახეობებისათვის, რომლებიც შეტანილი არიან „ჰაბიტატების ღირეტივის“ დანართებში. ეს რეჟიმი მოქმედებს ამ სახეობების მთელ არეალში, ევროკავშირის ტერიტორიაზე, როგორც „ნატურა 2000“ საიტების საზღვრებში, ისე მის გარეთაც.

ამრიგად, ღირეტივების მიზანია გარკვეული სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა. ზოგიერთი სახეობის და ჰაბიტატის დაცვა ხდება „ნატურა 2000“ სტატუსის მინიჭებით. ამას გარდა, ზოგიერთი სახეობა დაცული უნდა იყოს ყველგან, სადაც ბუნებრივად არის გავრცელებული.

ჰაბიტატების ღირეტივის 6(3) და 6(4) მუხლების თანახმად, ნებისმიერი პროექტი, რომელიც არ არის დაკავშირებული „ნატურა 2000“ საიტის მართვასთან ან არ არის მისთვის აუცილებელი, მაგრამ შეუძლია მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს საიტზე (ცალკე აღებული ან სხვა პროექტებთან ერთობლიობაში) უნდა დაექვემდებაროს ე.წ. „შესაბამისობის შეფასებას“ (Appropriate Assessment). „შესაბამისობის შეფასება“ უნდა ჩატარდეს გეგმის ან პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ტერმინი „შესაბამისობის შეფასება“ ნიშნავს, რომ უნდა შეფასდეს „ჰაბიტატებისა“ და „ფრინველების“ ღირეტივების მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობა. „შესაბამისობის შეფასების“ ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ სამეცნიერო შეფასებას და მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც მიიღება ცალსახა,

¹⁵ მაგალითად: „Assessment of Projects Guidance on the preparation of the Environmental Impact Assessment Report“, European Union, 2017

დასაბუთებული დასკვნა იმის შესახებ, ახდენს თუ არა გეგმა/პროექტი უარყოფით ზეგავლენას „ნატურა 2000“ საიტზე. „შესაბამისობის შეფასება“ გზმ-ს მსგავსი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი, ნაკლებად მასშტაბური პროცესია. ის ფოკუსირებულია ბერნის კონვენციით/ბუნებისდაცვითი ღირებულებებით დაცულ სახეობებზე, თუმცა მისი მოთხოვნები უფრო მკაცრია, ვიდრე გზმ-ს მოთხოვნები.

„ჰაბიტატების ღირებულების“ თანახმად, „შესაბამისობის შეფასების“ საჭიროება შეიძლება დადგეს არა მხოლოდ „ნატურა 2000“ საიტის ფარგლებში, არამედ მის გარეთ დაგეგმილი პროექტისათვის. ჰესის განთავსებამ მდინარის ზემო წელში, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ქვემო წელში მდებარე „ნატურა 2000“ საიტზე - წყლის ჩამონადენის და სედიმენტების ტრანსპორტირების ცვლილების, დაბინძურების, ფრინველების და თევზის სახეობების სამიგრაციო გზების, გამრავლების ტერიტორიების, საბუდარი და საქვირითე ადგილების დარღვევის გამო¹⁶.

ევროკავშირის ქვეყნებისათვის „ჰაბიტატებისა“ და „ფრინველების“ ღირებულებები წარმოადგენენ ბერნის კონვენციის აღსრულების ინსტრუმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ „ნატურა 2000“ ქსელი ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ქსელს ეწოდება. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები, რომლებიც ბერნის კონვენციის მხარეები არიან, ქმნიან ე.წ. „ზურმუხტის საიტებს“/„ზურმუხტის ქსელს“, რომელიც „ნატურა 2000“-ის ექვივალენტურია - იგივე კრიტერიუმებით და მიზნით იქმნება.

„ნამახვანი ჰესი“ იგეგმება მდინარე რიონის აუზში, რომლის ქვედა ნაწილში მდებარეობს „ზურმუხტის ქსელის“ საიტები: აჯამეთი (აჯამეთის აღკვეთილი) და კოლხეთი (კოლხეთის ეროვნული პარკი, კაცობურის აღკვეთილი). კოლხეთის ეროვნული პარკი, მისი საზღვაო ნაწილის ჩათვლით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილს ზუთხების სახეობებისათვის. ასევე, კოლხეთის ეროვნული პარკი არის ფრინველებისათვის უმნიშვნელოვანესი ადგილი, რის გამოც შეტანილია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების - ე.წ. „რამსარის ნუსხაში“. ეს არის ადგილი, რომელსაც საგანგებოდ იცავს „ფრინველების ღირებულების“ 4 (2) მუხლი.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (Court of Justice of the European Union; CJEU) განმარტავს, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესაც საქმე ეხება „ნატურა 2000“ საიტებზე პროექტის ზემოქმედების შეფასებას. მისივე განმარტებით (ღირებულებისა და ორჰუსის კონვენციის ერთობლივად წაკითხვის შემთხვევაში), მოქალაქეებს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივრონ ამგვარი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებები.

„ზურმუხტის ქსელის“ საიტებისთვის - აჯამეთი და კოლხეთი - „ნამახვანი ჰესის“ პროექტის შესაბამისობის შეფასება საერთოდ არ მომზადებულა.

წყლის ჩარჩო ღირებულება

ღირებულების მიზანია ევროკავშირის ყველა მდინარეში (ზედაპირული წყლის ბუნებრივ ობიექტში) კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა და მდინარეების არსებული სტატუსის გაუმჯობესების არდაშვება; ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მდინარე უკვე სახეშეცვლილია, კარგი ეკოლოგიური პოტენციალის შენარჩუნება. ჰესების მშენებლობა წარმოადგენს საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ღირებულების მიზნების მიღწევას, მაგრამ გამონაკლისის სახით, მაინც განხორციელდეს. ამ გამონაკლისის დაშვებისათვის ღირებულება მოითხოვს სათანადო კვლევებისა და შეფასებების ჩატარებას. ღირებულების მოთხოვნები არ დაირღვევა, თუ:

1. ყველა პრაქტიკული ღონისძიება გამოყენებულია მდინარეებზე შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად;

¹⁶ იხ. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი European Commission, 2018. Guidance on The requirements for hydropower in relation to Natura 2000

2. მდინარის მოდიფიკაციისა და ცვლილების საკითხები სათანადოდ არის განმარტებული მდინარის სააუზო მართვის გეგმაში, რომელიც 6 წელიწადში ერთხელ უნდა ახლდებოდეს.
3. ამ ცვლილებების მიზეზი განპირობებულია უპირატესი საჯარო ინტერესით და სარგებელი მოაქვს გარემოსა და საზოგადოებისათვის.
4. იმ მიზნების მიღწევა, რომლისთვისაც საჭირო გახდა ეს ცვლილება, შეუძლებელია მიღწეული იქნას სხვა გზებით, რომლებიც უკეთესი იქნებოდა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

წყლის ჩარჩო დირექტივის დირექტორატმა შეიმუშავა მკაფიო რეკომენდაციები ჰესების განვითარებასთან დაკავშირებით¹⁷:

1. ე.წ. ხელშეუხებელი ზონების გამოყოფა, სადაც აიკრძალება ახალი ჰესების მშენებლობა;
2. არსებული ჰესების განახლება და მოდერნიზება იმისათვის, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ ახალი ჰესების მშენებლობა და მათგან გამომწვეული ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე;
3. ნათელი ეკოლოგიური სტანდარტების დაწესება ახალაშენებული და განახლებული ჰესებისათვის და საექსპლუატაციო პირობების გამოსწორება. მაგალითად, ჰესებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ეფექტური თევზსავალები და იცავდნენ წყლის ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯის გამოყენების სტანდარტს;
4. პროექტის დანახარჯისა და სარგებლის ანალიზი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რათა გადაწყდეს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანს ნამდვილად აღემატება თუ არა ჰესის ეკონომიკური/ენერგეტიკული სარგებელი.
5. პროექტის ზომა არ არის მისგან მიყენებული ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ნებისმიერი ზომის პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის შედეგადაც მოხდება წყლის ობიექტის ხარისხის გაუარესება და დაირღვევა წყლის ჩარჩო დირექტივის (მუხლი 4(7)) მოთხოვნები.

მთავარი პრობლემა, რომელიც აქვს „ნამახვანი ჰესის“ პროექტს, ისევე როგორც საქართველოში მშენებარე ყველა ჰესის პროექტს, არის წყლის ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯის სტანდარტის უგულებელყოფა. „ნამახვანი ჰესი“, ისევე როგორც ყველა სხვა ჰესი საქართველოში იყენებს ე.წ. „წყლის სანიტარული ხარჯის“ მეთოდს, რომელიც გულისხმობს, კაშხლის ქვედა მონაკვეთში მდინარის ბუნებრივი ჩამონათანის მხოლოდ 10%-ის გაშვებას. ეს გარემოება არა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე, არამედ პრობლემას შეუქმნის რიონის ქვემო წელში განლაგებულ ჰესებს, რომლებსაც შეუმცირდებათ ელექტროენერჯის გამომუშავება და ამის შედეგად, მომხმარებლებისთვის დენის ტარიფი მოიმატებს.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა

დირექტივის მიზანია გარემოს დაზიანების პრევენცია და გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის საფუძველზე. „დამბინძურებელი იხდის“ გარემოს დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ნიშნავს, რომ ვინც გარემოს ზიანს აყენებს, უნდა გასწიოს ზიანის გამოსწორების ხარჯები. დირექტივა მოიცავს მხოლოდ ბიომრავალფეროვნებაზე, წყალზე და მიწაზე მიყენებულ ზიანს (არ მოიცავს ჰაერის დაბინძურების საკითხს, ან ზიანს, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკურ დანაკარგები, კერძო საკუთრების ან ადამიანების ფიზიკური დაზიანება).

¹⁷ „Guidance on the requirements for hydropower in relation to Natura 2000“, European Commission, 2018.

„ნამახვანი ჰესის“ მშენებელი კომპანია „ენკა“ ამჟამად უკანონოდ აწარმოებს სამუშაოებს, რის გამოც სასამართლომ მხოლოდ 5000 ლარით დააჯარიმა¹⁸. მიუხედავად ამისა, კომპანიას კანონდარღვევით საქმიანობა არ შეუწყვეტია. დირექტივის სრულფასოვნად მოქმედების შემთხვევაში, კომპანიას მოუწევდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ევროპის კომისიის დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი

ევროკომისია პასუხისმგებელია ევროკავშირის კანონმდებლობის დაცვასა და სათანადო აღსრულებაზე. კომისია, საკუთარი გამოძიებების ან მოქალაქეების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჩივრების საფუძველზე, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევების იდენტიფიცირებას ახდენს. დარღვევას შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას. ევროკომისიას შეუძლია განიხილოს მხოლოდ ის საჩივარი, რომელიც ეხება ევროკავშირის ქვეყნის ხელისუფლების მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევას. ის არ განიხილავს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის ან კერძო პირის/ორგანიზაციის მიერ ჩადენილ დარღვევებს.

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება

ენერგეტიკული გაერთიანების მთავარი დანიშნულებაა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდის ენერგორესურსებით საზღვრების მიღმა ვაჭრობას და ევროკავშირის ბაზართან ინტეგრაციას. მისი მთავარი ამოცანაა განავრცოს ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის წესები და კანონმდებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის რეგიონის ტერიტორიაზე და მის გარეთ, სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმის (ხელშეკრულების) მეშვეობით. ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები (მათ შორის საქართველო) ვალდებულია იღებენ, იმოქმედონ ევროკავშირის კანონმდებლობისა და რეგულაციების (acquis communautaire) შესაბამისად, ჩამოაყალიბონ შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა და მოახდინონ საკუთარი ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია. ენერგეტიკული თანამეგობრობის კანონმდებლობა მოიცავს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოსდაცვით დირექტივებს: გზმ დირექტივა, სგმ დირექტივა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა და ფრინველთა დირექტივა (მუხლი 4(2))¹⁹. ხელშეკრულების მიზანია დაუმახინჯებელი ენერგეტიკული ბაზრების შექმნა - შიდა საზღვრების გარეშე. ამისათვის, ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობას უქმნიან თავისუფალ კონკურენციას, როგორც წესი, იკრძალება ხელშეკრულებით. კერძოდ მუხლი 18(2) ამბობს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო დახმარება, რომელიც ამახინჯებს ან დამახინჯების საფრთხეს უქმნის კონკურენციას, ანიჭებს რა უპირატესობას გარკვეულ ქმედებებს ან ენერგეტიკულ რესურსებს, განხილული უნდა იქნას, როგორც შეუთავსებელი ხელშეკრულების სრულფასოვან ფუნქციონირებასთან. ჰესები, ერთის მხრივ, ამცირებენ სათბური აირების ემისიას, ხოლო მეორეს მხრივ, შეუძლიათ იქონიონ უარყოფითი ზემოქმედება წყლის ეკოსისტემებზე და ბიომრავალფეროვნებაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დახმარება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება წყლის ჩარჩო დირექტივის 4(7) მუხლის პირობები, რომლებიც განისაზღვრება მდინარეების ახალი მოდიფიკაციის დაშვების კრიტერიუმებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ნამახვანი ჰესის“ პროექტი არ შეესაბამება ამ დირექტივების მოთხოვნებს. ამავდროულად, ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება არღვევს ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებს სახელმწიფო დახმარებასთან, პროცესის გამჭვირვალობასთან, გადაწყვეტილების მიღების წესთან, ელექტროენერჯის ფასთან და ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს არ აქვს დამტკიცებული მდინარე რიონის სააუზო მართვის გეგმა (წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად), რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის,

¹⁸ „ნამახვანი ჰესების კასკადის მშენებლობა კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, თებერვალი 21, 2021

¹⁹ Energy Community acquis

რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული დახმარება გაუწიოს რიონზე მასშტაბური ჰესის მშენებლობის პროექტს.

ესპოს (EIA) კონვენცია და კიევის (სგმ) ოქმი

ესპოს კონვენცია ძირითადად ეხება პროექტებს, რომლებიც ხორციელდება ერთ ქვეყანაში, მაგრამ შესაძლებელია შემოქმედება მოახდინონ სხვა ქვეყნის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ამ თვალსაზრისით, კონვენცია არ არის რელევანტური „ნამახვანი ჰესის“ პროექტისათვის. თუმცა, კონვენციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გზმ მეთოდების შემუშავება, რათა ეფექტურად აკონტროლონ გარემოზე მიყენებული ზიანი და განსაზღვრავს რა სახის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს გზმ.

კიევის ოქმი ავალდებულებს ქვეყნებს, შეაფასონ გეგმებისა და პროგრამების პროექტების ზეგავლენა გარემოზე. ოქმი შემუშავდა ესპოს კონვენციის ფარგლებში, კონვენციის სფეროს გაფართოების მიზნით. თუმცა, ოქმი იურიდიულად დამოუკიდებელი დოკუმენტია და გაეროს ყველა წევრ ქვეყანას შეუძლია ოქმზე მიერთება კონვენციაზე მიერთების გარეშე. კონვენციისგან განსხვავებით, ოქმი უმეტესწილად ეხება ადგილობრივ გეგმებსა და პროგრამებს. მასში ასევე გათვალისწინებულია ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებთან დაკავშირებული დებულებები იმ შემთხვევისათვის, თუ მოსალოდნელია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. ოქმი ევროკავშირის სგმ დირექტივის მსგავსია, თუმცა განმასხვავებელი ის არის, რომ გარემოზე ზემოქმედების გარდა, მასში განსაკუთრებით არის ხაზგასმული ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ასპექტები. ოქმის თანახმად, სგმ სავალდებულოა ეკონომიკის ცამეტ სექტორში (მათ შორის ენერგეტიკა) მომზადებული სახელმწიფო გეგმებისა და პროგრამებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს არ გააჩნია ენერგეტიკის განვითარების გეგმა და შესაბამისად, არც სტრატეგიული შეფასება გაკეთებულა.

ბერნის კონვენცია

„ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია“ (ბერნი, 1979), ანუ ბერნის კონვენცია არის ევროპის საბჭოს ინიციატივა, ამავდროულად არის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ევროპის კონტინენტისა და აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოს ბუნებრივ მემკვიდრეობას. ბერნის კონვენციის აღსრულება ევროკავშირის ქვეყნებში ხდება ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების მეშვეობით. კონვენციის მიზანია მის ქვეყნებში ფლორისა და ფაუნის და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატების) დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. კონვენცია ძირითად აქცენტს აკეთებს მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მოწყვლადი (შორის, მიგრირებადი) სახეობების დაცვაზე. ქვეყნებმა სხვადასხვა პროექტების დაგეგმვისას, უნდა გაითვალისწინონ ველური სახეობებისა და მათი ჰაბიტატების კონსერვაციის აუცილებლობა; არ დაუშვან კონვენციით დაცული სახეობების პოპულაციების შემცირება, მათი ბუნებრივი ჰაბიტატების განადგურება და დაბინძურება. ბერნის კონვენცია მის თითოეულ წევრ ქვეყანას ავალდებულებს „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებას. „ზურმუხტის ქსელი“ ბერნის კონვენციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ის შედგება „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებისგან“ (Areas of Special Conservation Interest-ASCI), ანუ ე.წ. „ზურმუხტის საიტებისგან“. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ანალოგიური ეკოლოგიური ქსელია „ნატურა 2000“. „ნატურა 2000“ „ზურმუხტის ქსელის“ ნაწილად განიხილება. საქართველოში „ზურმუხტის ქსელის“ განვითარება წარმოადგენს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნა, ყველა პროექტის დაწყებამდე, რომელმაც ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „ზურმუხტის საიტებზე“, უნდა ჩატარდეს ე.წ. „შესაბამისობის შეფასება“; მიუხედავად ამისა, ამგვარი შეფასება არ ჩატარებულა რიონის აუზში მდებარე „ზურმუხტის ქსელის“ საიტებზე - აჯამეთი (აჯამეთის ადკვეთილი) და კოლხეთი (კოლხეთის ეროვნული პარკი, კაცობურის ადკვეთილი).

თავად ჰესის სტრუქტურების მშენებლობა აზიანებს ან ანადგურებს არაერთ მნიშვნელოვან ჰაბიტატს: ბერნის კონვენციით დაცული რამდენიმე ჰაბიტატი (მაგალითად, G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც

დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი და C3.55 - კენჭოვანი მდინარისპირების მეჩხერი მცენარეულობა) ნადგურდება მათ ტერიტორიაზე (მათზე) წყალსაცავისა და ძალური კვანძის განლაგების შედეგად. მიუხედავად ამისა, კომპანიის მიერ შემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე შეფასებულია, როგორც „დაბალი“. ამ შეფასებას სამინისტროც კი არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ეს ჰაბიტატები დაცულია ბერნის კონვენციით, მნიშვნელოვანია იქ არსებული მცენარეებისა და ცხოველებისათვის და მათი განადგურება ჰესის სტრუქტურების მშენებლობით ბიომრავალფეროვნებაზე მაღალი უარყოფითი შემოქმედებაა.

რიონი ერთადერთი საქვრითე მდინარეა საქართველოში ბერნის კონვენციით დაცული ზუთხების 6 სახეობისათვის. ეს სახეობებია: კოლხური ზუთხი (*Acipenser gueldenstaedtii colchicus / colchicus / persicus colchicus*), ჯარღალა (*Acipenser nudiventris*), ტარღალა (*Acipenser stellatus*), ევროპული ზუთხი (იგივე ატლანტური ზუთხი ანუ ფორონჯი) (*Acipenser sturio*), რუსული ზუთხი (*Acipenser gueldenstaedtii*), სვია (*Huso huso*). შავი ზღვის აუზში, რიონის გარდა, მხოლოდ მდინარე დუნაიში შემორჩა ზუთხების თვითმყოფადი პოპულაციები. გარდა ბერნის კონვენციისა, ყველა სახეობას იცავს ასევე „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის ბონის კონვენცია“ და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია“ (CITES). ყველა სახეობა შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში და საქართველოს „წითელ ნუსხაში“. ზუთხისებრებისთვის მდინარე რიონის მნიშვნელობა აღიარებულია ბერნის კონვენციის მიერ. ბერნის კონვენციამ 2018 წელს დაამტკიცა „პან-ევროპული მოქმედებათა გეგმა ზუთხისებრებისთვის“. ბერნის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველო ვალდებულია მდინარე რიონზე შექმნას „ზურმუხტის საიტი“ ზუთხისებრთა სახეობების საბინადრო გარემოს და საქვრითე ადგილების დასაცავად, რომელიც მოიცავს მდინარე რიონის შუაწელს, ასევე რიონისა და ზღვის შესართავს და მიმდებარე საზღვაო სივრცეს. მდინარე რიონზე აქამდე ამენებული ჰესების შემოქმედების შედეგად ზუთხების სატოფე ადგილები 57 კმ-იდან, მხოლოდ, 9 კმ-მდე შემცირდა. უარყოფითი შემოქმედება დაკავშირებულია არა მხოლოდ ჰესების მშენებლობის შედეგად სამიგრაციო გზების გადაკეტვასა და ჰაბიტატის ფრაგმენტაციასთან. ჰესების ფუნქციონირება იწვევს მდინარის ბუნებრივი რეჟიმის ცვლილებას, მდინარის ნაკადისა და სიჩქარის შემცირებას, წყალში დამაბინძურებლების კონცენტრაციის ზრდას; წყლის ნაკადის ზალბური გაშვებით (ჰიდროპიკები) წყალსაცავების გარეცხვა იწვევს საქვრითე ადგილების განადგურებას, ქვირითისა და ლიფსიტების დაღუპვას. ზედა დინებაში „ნამახვანი ჰესის“ დამატება გამოიწვევს სერიოზულ შემოქმედებას ორგანული ნივთიერებებისა და ინერტული მასალების ჩამონატანის შემცირების, წყლის რაოდენობის და ხარისხის გაუარესების, მასშტაბური ჰიდროპიკების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით. გარემოზე შემოქმედების ამგვარი ხასიათი და მოცულობა დამდუპველად იმოქმედებს მდინარე რიონის შუაწელში ჯერ კიდევ შემორჩენილი ზუთხისებრების ქვირითობისთვის შესაფერის გარემო ფაქტორებზე. ამ ფაქტორების მცირე ცვლილებაც კი, გამოიწვევს ამ ჰაბიტატის ეკოლოგიური ღირებულების დაქვეითებას და კარგვას. ეს კი, უნიკალური ჰაბიტატის დაკარგვის ტოლფასია. „ზურმუხტის საიტის“ ან ახალი დაცული ტერიტორიის დაარსება „ნამახვანი ჰესის“ ამუშავების შემთხვევაში აზრს მოკლებული იქნება.

ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის ბიურომ, 2020 წლის 7-8 აპრილს გამართულ შეხვედრაზე მიიღო დოკუმენტი, რომელშიც მოუწოდა საქართველოს მთავრობას, დაიცვას მდინარეები დაუგეგმავი ჰესების მშენებლობისგან. ბიურომ საქართველოს მოსთხოვა დაიცვას დიდი მდინარეები და შეიყვანოს ისინი ქვეყნის ბუნებისდაცვითი ტერიტორიების ქსელში – „ზურმუხტის ქსელში“. ბიურომ, ასევე, მოსთხოვა საქართველოს შეიმუშაოს მდინარეების დაცვის ეროვნული გეგმა. კონვენციის ეს მოთხოვნა საქართველოს არ შეუსრულებია.

ორჰუსის კონვენცია

კონვენცია შეეხება სამ მნიშვნელოვან საკითხს: გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას; გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

როგორც აღვნიშნეთ, „ნამახვანი ჰესის“ სკოპინგისა და გზმ ანგარიშების განხილვები ჩატარდა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ისეთი დარღვევებით, რომლებიც შეუთავსებელია ორჰუსის კონვენციასთან.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან დღემდე კომპანიამ სამინისტროს ეტაპობრივად წარუდგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით მოთხოვნილი კვლევების გარკვეული ნაწილი. სამინისტრომ ისინი ისე შეითანხმა, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას, ადგილობრივ მოსახლეობასა და ექსპერტებს არ მისცემიათ მათი გაცნობისა და განხილვის შესაძლებლობა. დამატებით წარმოდგენილი ეს კვლევები კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროექტის შესაფასებლად, რადგან სწორედ მათ საფუძველზე უნდა დადგინდეს პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის ხარისხი და ამ საფრთხის შემსუბუქების თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები.

ერთ წელზე მეტია, ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლის ("მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა") შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი აქვთ სარჩელი²⁰ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების მოთხოვნით. ამ დრომდე არ გამართულა არც ერთი სხდომა, რაც მიუთითებს, რომ დაინტერესებული საზოგადოებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ორჰუსის კონვენციით მინიჭებული უფლებების შეზღუდვად შეიძლება განვიხილოთ, მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აქტივისტების მისამართით კრიტიკული და ცილისმწამებლური განცხადებები, სადაც მთავრობის წარმომადგენლები უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ ოპონენტებს, რომლებმაც „გაბედეს“ და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების გამო, სასამართლოში გაასაჩივრეს მთავრობის გადაწყვეტილებები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის (საპროცესო უფლებები) თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, სახელმწიფომ კი უნდა უზრუნველყოს საქმის სამართლიანი და დროული განხილვა.

²⁰ მწვანე ალტერნატივა და საია ნამახვანის ჰესების პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვენ, აპრილი 6, 2020. მწვანე ალტერნატივას სარჩელი, აპრილი 8, 2020

დასკვნა

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი, მსგავსად საქართველოში არსებული ჰესის ყველა პროექტისა არ პასუხობს სგმ და გზმ დირექტივების, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის, ასევე ბუნების დაცვის დირექტივებისა და წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს. ყველა მცირე, საშუალო თუ დიდი ჰესის პროექტის შემთხვევაში საქართველოში, გამოყენებულია 10%-იანი „სანიტარული ხარჯის“ მეთოდი, ამასთანავე გამოთვლები ემყარება 30 და მეტი წლის წინ არის გაკეთებულ ჰიდროლოგიურ კვლევებს; არ არის შემუშავებული და დამტკიცებული მდინარე რიონის სააუზო მართვის გეგმა.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი ამ სახით ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მთავრობას რომ დაემტკიცებინა, აუცილებლად გასაჩივრდებოდა ევროპის კომისიის დარღვევებზე რეაგირების მექანიზმის გამოყენებით.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი არღვევს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების პირობებს და შესაძლებელია გახდეს ამ გაერთიანებაში საჩივრის საგანი.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი არღვევს ბერნის კონვენციის მოთხოვნებს, შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს. არსებული დარღვევები იძლევა ბერნის კონვენციაში საჩივრის წარდგენის საფუძველს.

„ნამახვანი ჰესის“ პროექტი და მასთან დაკავშირებული პროცესები არ შეესაბამება ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს. არსებული დარღვევები იძლევა ორჰუსის კონვენციაში საჩივრის წარდგენის საფუძველს.

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „მედიის და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გარემოსდაცვით საკითხებში და ამ მიმართულებით საქართველოს მიერ ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების შესრულებაში“ ფარგლებში, პური მსოფლიოსთვის (BROT) და The Sigrid Rausing Trust-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ნარკვევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა.



მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

ავტორი: ირაკლი მაჭარაშვილი

© მწვანე ალტერნატივა, 2021